ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №1829210

ნომერი: AR1298366

თარიღი : 31.03.2015

გაცემის თარიღი : 07.04.2015

გაცნობის თარიღი : 07.04.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მასივი დიღომი , კვარტალი III , კორპუსი 17 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- იოსებ ტაბატაძე პ/ნ 57001002096
- ბელიაშვილის 17

ორგანიზაცია:

- შპს ერეთელი კოდი: 401976830

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების

თანახმად

# გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ სამსახურს შესაძლებლად მიაჩნია ვიტრინების რეკონსტრუქცია, თუმცა საჭიროა მოეწყოს ნაკლებად დანაწევრებული ვიტრინები, აღნიშნულის გათვალისწინებით ასევე გაითვალისწინეთ შემდეგი:

-წარმოდგენილი არსებული სიტუაციის ფოტოსურათი ფიქსირდება 2014 წლის 19 მარტის AR1205436 განცხადებაში, შესაბამისად სამსახურისთვის გაურკვევლია რამდენად რეალურ და დღევანდელ მდგომარეობას ასახავს აღნიშნული ფოტოსურათი, აქედან გამომდინარე საჭიროა წარმოადგინოთ დღეის მდგომარეობით გადაღებული არსებული სიტუაციის ფოტოსურათი და მის საფუძველზე დამუშავებული, ზემოაღნიშნულის შესაბამისად განახლებული ფოტომოტნაჟი, დეტალურად გაბარიტული ზომებისა და მასალის მითითებით.

-ასევე, ვინაიდან სარეკონსტრუქციო ფართის მესაკუთრეა შპს "ერეთელი", რომლის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი არის მოქ. ნინო გალი-ჭრიკიშვილი, ხოლო განცხადებით მოგვმართავთ მოქ. იოსებ ტაბატაძე, საჭიროა წარმოადგინოთ თქვენი უფლებამოსილიების დამადასტურებელი დოკუმენტი ან მოქ. ნინო გალი-ჭრიკიშვილი დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად.

გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

---

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.